

მშრომელი


№ 28

1917

შინაარსი: პირველი ქუ-ღობა—ეშმაკი. პატარა
ფილიტ-ნი—ლორიელი. ქრელი ამბები—სამართლებელი.
შექნე ლიქუ ოს ლექსები—შექანჯაღებელი, სიხუბის
ამბები—სტუმარი შეხვედრა—აღბურთონი. დიპეშები.

თავდას ნოთქა—სუსლიკი. დ იჯერა—მ. ღია წერილი
გლები ვანო. ფოსტა.
სუკათიბი: ორი ძღ. სიზმარი. შერები და
ილიუსტრაციები კონფერენცია.

ორი ძღა



- ლობეს გადაღმა ბჭობენ და ელიან ბრძოლის გათავებებს.
- ლობეს გაღმომავ ბჭობენ და მოულოდნელათ ელიან ბრძოლის დაწყებას.

პირველი ქურდობა

ვერ დავმაღავ და ვიტყვი, რომ ბავშობისას არა ერთხელ და ორჯერ ჩამიდნია ქურდობა. მომიპარავს ხილი მეზობლის ბაღში, მომიპარავს ხილი საკუთარ ოჯახში. ჩურჩხლებისა და მურაბის ქურდობაში პირდაპირ სპეციალისტი ვიყავი და თუ მაშინდელი ჩემი ამ საგანში გამოცდილება შემდეგშიაც იმავე ტემპით გამეღრმავებია, დღეს საუცხოვო მოიჯარადრე და პირდაპირ იდეალური ინტენდანტი ვიქნებოდი.

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ სოლომონის თქმულება:

„დაძმანს თვისა ბედა
 მასვე შუბლზე აწერა,
 და რაც ხელე შეკამთხევეა
 ის უფთავსა შენა ბუდის წერა.“

მეც ჩემდა უნებურათ გადავიჩვიე ამ სასარგებლო და ცხოვრებაში ერთბაშად გამოსადეგ ხელობას. ჩემი ბედისწერა იმდენათ უხეირო გამოდგა, რომ არა თუ მე თითონ გადავიჩვიე, პირიქით სხვებსაც მეუფლიად მას და ამ ნიადაგზე არა ერთი და ორი მეგობარი მტრათ გავიზადე.

ლიახ, სიყრმიდანვე ჩავკალ ჩემს არსებაში დიდებული ნიჭი ქურდობისა და უბრალო მომაკვდავ მოქალაქეთ ყოფნა ვარჩიე. ვცხოვრობდი მშვიდათ, უწყინრათ, ვწერდი პატარა სახუმარო ამბებს, ვკამადი ჩვეულებრივ საქმელს და ვსადამი ორიოდ ქიჯა ღვინოს.

მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს, უეცრად თავზარი დამეცა. სწორეთ ისე, როგორც ერთ ქართველ კაცს სიზმარში. გვიგე, რომ ახალ მთავრობას ღვინო აეკრძალა. არასოდეს არ ვყოფილვარ ღვინის მოტრეფილზე, მაგრამ, როცა ის აიკრძალა და ამგვარათ დაჩაგრულთა კატეგორიაში გადაირიხსა, მე მყისვე ვივრძინე წისდამი განსაკუთრებული სიყვარული, თანაგრძნობა და მისწრაფება. უმისოდ ჩემი ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა. სიზმარში, თუ ცხადში მხოლოდ ღვინო მესიზმრებოდა და მესიზმრებოდა სხვა და სხვა მიმზიდველი სახით. გადასწყვიტე რაც უნდა მომხვლიდა ერთი ბოთლი ღვინო მეშოვნა, გადასწყვიტე და სამი დღის განმავლობაში შესაძფერი გემაც დავიმუშავე.

სირაჯი გეურქა, ყოველთვის დიდ მეგობრობას მიწვედა, ჯერ კიდევ ძველი ქურდობის დროსაც, ვინაიდან ანგარიშის გასწორების დროსა რასოდეს არ მკითხულობდი ნახარჯის რაოდენობას და ზოგჯერ თავიც კი მომწონდა, რომ ბევრი ღვინო მქონდა დანაღვლი. ახლაც გეურქას მივმართე.

- ნავთი გაქვს, მეგობარო?
- როგორი გინდა?
- წითელი.
- წითელი ნავთი აღარ არის, თუ გინდა თეთრი წაიღე.

— სულერთია, დაე თეთრი იყოს. რალაც სრულიად უმინებოთ ბერი გამახსენდა და ჩამეცინა.

— კაცო არაფერი ხიფათი ამიტნო! ეცვიანის კილოთი მკითხა გეურქამ. ხუმრობა საქმე როდია. ე ვერანა მილიციის უფროსი ძველებურათ სიტყვებს როლი ხარჯავს, ერთს მოგიქრის და გათავდა.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს. იმასთან შე გავასწორებ ანგარიშს.

- გენდობი. აი, აქედან აღი და იმ ვიწრო შესახვევს აჰყევი, არაეინ შეტეხვდება.
- რა გერგება?
- რამდენიც გენებოს.
- მიანც?
- დასტოვე ხუთი მანეთი.


დავტოვე ფული. ბოთლი პალტოს მარცხენა ჯიბეში ჩავიდგი, ქუდი თვალბეზე ჩამოვიფარე, ბოთლის ყელი სახელოში შევაფარე და წელის ნაბიჯით ავეუყევი ვიწრო შესახვევს.

— ისე მიღის, ნამდვილ გადაკრულში უნდა იყოს. წასსურჩილა თანამგზარ ქალს ახალგზირდა ნოქარმა, რომელსაც დღეს ვაფიცვა ჰქონდა გამოცხადებული და სატრფოსთან სეირნობდა.

— ნეტავ სად უოლოობენ ეს ოხრები! გამასუხა ქალბატონი და გამშორდენ. მე თავისუფლათ ამოვისუნთქე, მაგრამ ჩემი ბედნიერება ხანმოკლე გამოდგა ქუჩის მოსახვევში მილიციონერს ვილაქ დატვირთული მუშა ელაპარაკებოდა.

— **НИ ЗНАИТЬ!** დინჯათ მიუგო მილიციონერმა და მუშა ჩემთან მოიყვანა.

— პრაჩიტატ პაეალუსტა გდი ეტა ულიცა? მე კანკალი დამაწყებია.—აი მოვიდა აღსარული მეთქი! გავივლე გულში და გატყევა დავპირე, მაგრამ მცირე მოფიქრების შემდეგ ძველ



ტაქტიკა უარყვავი და ახალს დავადეკი.

— ია სამ ნე ზნაეში აი იკით იკითხე მეთქი ვუთხარი და ორივენი ვიწრო შესახვევისკენ გავისტუმრე. დიდის სიფრთხილით ვადავიარე ანდრისას ქუჩა და ნიკოლოზისაზე გადავედი. სულ ორიოდ ნაბიჯი, ერთი მოხვევა და სახლში ვიჭებოდა, მაგრამ ბედს ჩემთვის ეს არ დაუწერია. სწორეთ 164 ნაბიჯზე ჩემი სახლიდან სამი რევოლუციონური ჯარისკაცი გადამეყარა. ისინი „სემიქას“ მიირაპვედენ, რომლის დაწვევილი ჩენჩი ნაპერწკლებივით ეფინებოდა ქუჩას. ერთი მათგანი მოულოდნელათ გამეკრა მარცხენა გვერდზე და ხელი ბოთლზე მოუხვდა.

დამიჭირეს.

ჩემს ირგვლივ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. იყვენ ნაცნობ-მეგობრებიც ჩვენი ეზოდან. წარმოითქვა რამოდენიმე სიტყვა ჩემი უმსგავსო საქციელის შესახებ, რომლებშიაც გაკიცხულ იქნა რობერტ გრიშის საქციელი, კერძისკის ბრძანება იერიშების შესახებ, ვუჭკოვ-მილიუკოვი, ბურჟუაზია და პროლეტარიატი. მე ვიდექ დარცხვენილი და ქირის ოფლში ვიწურებოდა.

მიტინგი დაიშალა და მე მილიციის სამმართველოში წამიყვანეს. მართალი მოგახსენოთ არ მახსოვს ხელით შემებნენ რევოლუციონური ჯარის წარმომადგენელი თუ არა. მილიციის უფროსი ჩემი მეგობარი კაცია. ალბათ ამიტომაც დაკითხვა მოკლეთ აწარმოვა.

— თქვენი სახელი?

— განა აღარ გახსოვთ?

— გვარი?

— გვარი და ავიწყდა?

— სამსახური? მაგრამ რაღას გეკითხები, ქურდს რა სამსახური უნდა ჰქონდეს გარდა ქურდობისა.

— მე... მე...

— ვიცი, ვიცი, ჩვენ აქ ოფლში ვიწურებით, რათა ქალაქში წესრიგი არ დაირღვეს, ვცდილობთ მთერალმა მოქალაქემ არ ჩაიდინოს რაიმე დეზორგანიზატორული ტაქტიკური ნაბიჯი და თქვენ...

— მე, ამბანავო, ეს შემთხვევით მომივიდა. პროფესიონალური ქურდი არა ვარ... ერთხელ კიდევ მახსოვს ასეთი გარემოება ერევნის მოედანზე მიტინგის დროს.

— როგორ? განა ეს პირველი არ არის? თქვენ

მაშ მართლაც ხელობათ გავიხდიეთ. სირცხვილი თქვენს აბა, მილიციონერო! რა შედეგები შეგებატონი და შესაფერი ადგილი უჩვენეთ.

მე ვამაძლიანდი. მდგომარეობა გამწვავდა. საქმეში შეიარაღებული ძალა ჩაერია და ჩემს თავთან გაისმა სახარელი ქეჟა!..

მიზეზი ხაურობისა ჩემი დამტარებელ—კომისარ ვანო ლომთათძე ვახლდათ. იმან ისე მოულოდნელათ შემოალო ჩემი ოთახის კარები, რომ შიშით კინალაშ ლოგინიდან ვადმოვარდი. ცოტა ადრე რომ მოსულიყო რამდენ ტანჯვას გადამარჩნდა.

ქეშაკი.

პ ა ტ ა რ ა ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

მ ო რ ი ზ ი პ ო რ კ ი

სოციალ-ფედერალისტთა პარტია ქეშაირტათ რწმენის პარტიაა!

ჩვენში, სოციალ-დემოკრატების მიზეზით, მათზე ხალხს შემედარი წარმოდგენა აქვს შედგენილი.

ნამდვილათ კი ჩვენი ეროვნულ-ფედერალისტური პარტია ერთ დღესაც ვერ გასძლეებს, თუ ვინმე სალოცავი პიროვნება არა ჰყავს.

რომ უქმი ლაპარაკი არ შემწამოთ, მე მსურს ჩემი აზრი ფაქტებით დავასაბუთო, მაგრამ ვიდრე ფაქტებზე გადავიდოდე, აღვინშნავ ერთ ზოგად მოკლენას: სოციალ-ფედერალისტთა სათაყვანო პირები, ანუ კერპები, სოციალ-დემოკრატის წილიდან გამოსული პიროვნებანი არიან. ასე რომ, თუ საგანს ძირში ჩაჩვენადვთ, ფედერალისტების მხსნელი, ანუ მესია, უთუოდ სოციალ-დემოკრატებიდან უნდა გამოვიდეს, რასაკვირველია რენეგატის სახით.

გრაგოლ რომაქიძე, ეს პირველი კერპი იყო სოციალ-ფედერალისტთა სამლოცველო პორიზონტზე ამოტყორცნილი. იმისი ღვთაებრივი სახე, მარტივი ქართული ენა, ზღვა საუფხე ფილოსოფიურ ღირებულებათა, დაუსტრომელი შრომის მოყვარეობა, ხალისი ბრძოლისა და გარკვეული პროგრამა ცხოვრებისა, აშკარა ხდიდა მის ღიდ ბუნებოვანებას და აი ფედერალისტებმაც მას მიაპყრეს თვალნი

თვისნი.

- ფილოსოფოსი გრიგოლ რომაქიძე!
- გრიგოლ რომაქიძე!
- გრიგოლი!

აი რა ისწავა ყველგან სადაც კი მოლაპარაკე ხალხს წააწყდებოდა. გრიგოლიც ხელგაშლით სარგებლობდა თავისი ღვაწებრივი თანამდებობით, ვიდრე მისი მზე დასავლეთისაკენ არ გადაიხარა. ამას კი ხელი შეუწყო ახალი კერპის მოვლინებამ.

გერონტი ქიქოძე გახლდათ ეს მეორე სალოცავი სოციალ-ფედერალისტებისა. ახალგაზრდა, ახოვანი, გაზრდილის სახლიკაცი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, ფილოსოფიური მეცნიერებით დატვირთული გერონტი ქიქოძე ბაღრ მთვარესავით ამოკურდა ფედერალისტთა ცაზე, როცა გრიგოლ რომაქიძის მზე შუბის ტარზე იდგა. დიდი და პატარა, ახალ სათაყვანო კერპს მოწყურებული, ფეხქვეშ დაეგო ახალ წინასწარმეტყველსა და ნუგეშის მკემელს. მე ახლაც თვალწინ მიდგას ისტორიული სურათი, რაიცა 1914 წელს ბაკურიანის სადგურთან ვიხილე. სადგურის აივანში იჯდა ბებია-კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, როცა შორს, გზაზე, გერონტი გამოჩნდა. კიტა ზეზე წამოიჭრა და მისკენ გაეჭანა.

— როცა მთა არ მიდის მაჰმადთან, მაშინ მაჰმადი უნდა მივიდეს მათსთან-ო, შესძახა მცხოვანმა მოღვაწემ და გადაეხვია დიდების შარავანდელით მოსილ ახალგაზრდას.

ახლა არ ვიცი რა აზრისაა ბ-ნი „მაჰმადი“ „მთის“ შესახებ, მაგრამ უკვე ფაქტია მთის დაშვება და სხვის მამულში გადასვლა. ფედერალისტებს ამ კერპშიც უტყუა: იმათი პარტია ვერ იხსნა სოციალ-დემოკრატებისაგან. და აი, გულ გატეხილსა და ობოლ პარტიას ღმერთმა მოუვლინა ახალი კერპი.

თედორე ლლონტია სახელი რომლისა, აუწყრელმა სიხარულმა შეიპყრო თითქმის ძაღობილილი და იმედ გატეხილი პარტია. ახალი კერპი პირდაპირ „პერპეტუუმობილი“ გამოლდა პუბლიცისტიკისა. ის სწერდა, სწერდა და სწერდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ წერისათვის არ სჭიროდა: არც ქუუა, არც ცოდნა, არც ეთიკა! მან შეჭქნა ცალკე სექტა მწვანეებლებისა, რომლებსაც „ზვირთელები“ უწოდა. თედორე ლლონტის ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა, ხოლო მასთან ერთად იღვიძებდა

იმედი ფედერალისტთა გულზე კლდედემოკრატთაგან განთავისუფლებისა. **თედორე ლლონტი**

მაგრამ აი მოწმენდილ ცაზე დასტეკა მებმა და ფედერალისტებს თავზარი დასცა. მოხდა რუსეთის დიდი რევოლუტია. თედორე ლლონტი ისე გაჭრა ფედერალისტთა სამლოცველოდან, როგორც ყალიონის კვამლი ქარიშხლის დროს. პარტია კვლად დაობლდა და სასოწარკვეთილებას მიეცა. ავტოკრფალურმა ღმერთმა შეისმინა ხმა მათი მწუხარებისა და მოუვლინა ახალი კერპი, ახალი რენეგატი სოციალ დემოკრატთა წიაღისა.

შალვა ნუცუბიძე, აი სახელი და გვარი მორაგი კერპისა. მაგრამ მარტო ეს ორი სიტყვა არ განსაზღვრავს სიღაღეს ახალი კერპისას. მას ამშვენებს სხვა, განსაკუთრებული ტიტული, ხარისხი მწიგნობრობისა. ის გახლავთ პრივატ-დოცენტი.

და აი დღეს ირგვლივ გაისმის მზურვალე ლოცვა-ვედრება უბედო პარტიისა:

— წმინდაო პრივატ დოცენტი შალვაო, შეგვეწყალებ და გვაკურთხენ ჩვენ, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთ მოყვარე.

შალვაც რასაკვირველია ცდილობს. დღე არ გავა „სახალხო ფურცლის“ ქრონიკის თავში არ ეწეროს: „**ამხანაგი პრივატ-დოცენტი შალვა ნუცუბიძე** წაიკითხავს ლექციას...“ ძნელი სათქმელია, ავიდა თუ არა საშუალებოზე მზე შალვა ნუცუბიძისა, მაგრამ უეჭველია მას ბევრი აღარა შეემატება, და დღეს თუ არა ხვალ მაინც ფედერალისტთა სამლოცველოში აღიმართება ახალი კერპი ვინმე რენეგატი სოციალ-დემოკრატისა.

ფედერალისტთა პარტია კემარიატთა რწმენის პარტია. მას უთუთად უნდა ჰყუდეს ერთი კერპი, რათა თავყვანი სცეს და შეურდოს მას.

მორიელი.

ჭრელი ამბები

ყურანი... სმენად.

როგორც ამას წინათ მოგახსენეთ რუსეთის დიდმა რევოლუტციამ გავლენა იქონია გაზ. „საქართველოზედაც“. თვითმწყობელი რედაქცია დაემოდა და სასმასურს დაუბრუნდა ენა ჭარბობისათვის გადასახლებული მ. ადამაშვილი. ეს ერთად ერთი



ქართული ენის ინსტიტუტი

ამინისტიბოძეული პიროვნება ვაზეთ „საქართველოს“. მ. აღმაშენელი ისევ ჩაუღდა სათავეში სამხედრო მიმოხილვას და როგორც ხედავთ უკვე საერაობა ნაყოფიერად გამოიღო. რუსის ჯარი წინსვლას განაგრძობს.

უკანასკნელ მეცნიერულ წერილში: „ომი და საქართველოს ვალი“, მგოსანი ასეთ ღრმა მოსახერხებელს გამოსთქვამს:

„1914 წელს ვინმე სერბმა ზრინბაშა აუსტრიას შემკვიდრე უმბარათ ააფეთქა. ეს იყო მთელი მსოფლიოს აფეთქება. რამეთუ ვინმე ათას ვერსზე ეს უკმარას საქართველოსად მოხვდა და ღამის განკურნოს. სისხლით ვიდუბით, თუხინ ბეჭედივს, კერძო გვიფიქვამს. ვისაც უწერს აქვს სქენა...“ (საქართველო № 140)

მართლაც რომ ყურების საქმეა ყველაფერი! მაგრამ რაღა ამ სერბიელ პრინცივს ჩავსცივდით. განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ იმ შეჩვენებულ ევას აღამი არ შეეცდინა? ახლა ყველანი სამოთხეში ვიქნებოდით მხარ-თემოდ წაიწოლილი.

„ა ბ ლ უ რ ო ბ ა“

მართალია დღეს შეხედულობა გამოვიცვალე, მაგრამ მაშინ, როცა მამა გიორგი ევასაგან აღამის ცდუნებისა და ამის გამო პირველყოფილ დემოკრატიის სამოთხიდან გამორჩევის ამბავს გვაცნობდა, მე გულწრფელად ვშფოთავდი ევას ვერაგულ საქციელის წინააღმდეგ.

დღეს ამ შეხედულობას მხოლოდ მ. აღმაშენელი იზიარებს, მე კი სრულიად გამოვიცვალე ძველი აზრი და ამ საქმეში ხელი შემეწყო ქუთათურ ევას ვაზეთა—ქართველი ქალის სმ“.

აღნიშნული ვაზეთი არკვევს „ქალთა საკითხს“ და სამართლიანათ ამბობს:

„აღამიანი, როცა იხადება ქალაი, ის თუ ვაჟი, თანასდგეს თვისება თვისი სქესის გამოაჩინას“.

ჩვენს სათაყვანო სოლომონ ზურგიელიძე, როგორც პრივატ-დოცენტი*) და მკოდნე ქალთა საკითხისა, უფრო შორს წავიდა. იმან სთქვა:

„აღამიანი როცა იხადება ქალაი, ის თუ ვაჟი, თანასდგეს თვისება თვისი სქესის გამოაჩინას“.

ამ პატარა ტეკში ყოველივე ეჭვი უარყოფილია სქესთა შესახებ და ვაზეთის ხელმძღვანელთ, თუნდაც ისინი მამაკაცთაგან დაჩაგრულნი იყვნენ, არ ეპატიებათ ისეთი დიდი ავტორიტეტის არ ცნობა, როგორც ს. ზურგიელიძეა.

„მაგრამ ეს სრულიად არ აკმაყოფილებს დღევანდელს, ვნება აშლილს და თანაც ფიზიკურათ დაგნეითელს მამაკაცების წაწიას“.

ეს ამონაწერი „ქართველ ქალთა ხმის“ მოწინავედან შექვევლათ ვაუგებრობას გამოიწვევს მკითხველთა შორის. მართლაც რომელ დაცვეთაზეა ეკლამარაკი? ძველთ მართალია იყო ჩვეულება „წინა დაცვისისა“. მოგვხსენებათ იესო ქრისტეც ვერ გადარჩა ამ ახირებულ ჩვეულებას, მაგრამ ამ ჩვეულებამ ჩვენში ნიადაგი ვერ მოიპოვა. თუ მოწინავეს ავტორის სახეში ეს გარემოება აქვს, გარკვევით უნდა აღნიშნოს.

ქვემოთ ვაზეთი ამბობს, ვითრც დღევანდელი დამოკიდებულება ქალთა და კაცთა შორის „დღესდღეობით“ იყოს. ჩვენ პირდაპირ ვერ გავგივია, რისთვის მაინცა და მაინც სქესთა დამოკიდებულება „დღესდღეობით“ უნდა იყოს“ და არა „ტახანევეური“, „სკაქულაქური“ ახვად-ქუქური“, ან უკიდურეს შემთხვევაში „მედერულ-მამრული“. რით დამისახურეს ქათმებმა ისეთი სიმპატია „ქართველ ქალთა ხმის“ რედაქციისა, ძირს პრივილეგიები გაუმარჯოს ქართულ ენას.

სამართლებელი.

შუაგანჯალბულის ლაქსები

ჰერი ბიქო, ჰერი, ჰერი...
შეხედეთ საღ ამოცემერი!
ამას ქვიან ხომ წაღვერი?—
აქეთ-იქეთ მთების წვერი,
უნდა მოვიპარსო წვერი...

რაღა ვქნა, თავს რა ქვას ვახლი ძვირათ მაქირავებს სახლი,

*) ფედარალისტების აზრით მხოლოდ შაფაქ ნუგუშიძეა პრეპოტ-დოცენტი.

ოც-ოც თუმნათ სულ ოთახი,
ხომ დამეცა მთლად ოჯახი?..
ჰეი, ჰოი, ოჰო, ვოხო
თარი თულა, ლაღე, ლაღე,
სახლის ქირა გადვიხადე,
ჯიბე სულ მთლად გამოვცალე.
საკშლის ფულიც აღარ დამჩნა,
აბა, რა ვქნა, გენაცვალე,
უსაკშლოთ ოთახში ყოფნა
გვედრი, ვინმემ დამასწავლე.
ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი,
ჯაფრისაგან დავითვერა,
პურს დავთმობ, რომ მქონდეს „კვერი“
კეჩხობის გზით დავიმტვერი.
სახლის პატრონთ თვალში მტვერი,
ყებში სილა, ზურგზე შერი,
ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი
კუჭს არ მიძღვს ეს ჰერი,
მარტო რკინის წყაროს ვყლიპავ,
წალღერღებო, ნუ ჩავყლიპავ—
დეღე, მამე, ბები, პაპე
მხედავთ! არ მაქვს კარგი ფერი...
კარგი არის ლობზე შერი,
ჩემს ჯიბეს კი არ აქვს ფსკერი,
რა ყოფილა ეს წალღერი...
მაღა მაქვს და მშობი, ვსტორი,
პური მინდა სამი გირი,
ხვალ მომივა ჯამაგირი,
მას დასწონის ვალის გირი,
დამიგრძელდა ჯავრით ცხვირი...

ამიჯანყდა გლახ მუცელი,
ქალო, წყლიან რქეს ნუ წველა..
თქვენც, ძროხებო—წალღერღო,
რძე-წყალი არ მოიწველა,
თუ არ გინდათ, რომ მოვთელო...
ბუტფოლისტებს ვააქეთ ლელი,
კბილი სტკივა, ვახდა ელო.
ვაი, ვაი, მტკივა კბილი,
ვერ ვიშოვნე ვერსად ფქვილი,
მოვიარე თლად ბორჯომი,
ვერსად ვპოვე ღოპათ ღომი,
წალღერღე ჩარჩო ძმებო, ომი,
დავეტყუოთ, როგორც ღომი...

მეგავთე (თევზაძეზე)
ნახე თუ არ ვიყრი მე ჯაფრს:
ერთს გაზეთზე იგებს შაურს...
წავალ, ავსტებს აურ-ზაურს...
შენ ვის მიცნობ, ან საღაურს?

ჩარჩო! შენ არ მოგწონს ნიხრი,
ნიხრის წინ ქედს არ მოიხიბი?!
ჩუმთ! თორემ ხმალს გაგიყრი...
ხილს დავიპნევე, რქეს დავიღვრი,
ბოთლებს სულ მთლად ვადაგიყრი...

როგორც წყალზე კარგი ტივი,
ისე კოპერატივი,
სიღარიბიდან გაგიყვანს,
თუ კი ყველა ვსცემთ მას თაყვანს,
არ არის თაყვან საცემი?!!
წადი, ნახე აბა ცემი.
იქ ჩარჩებია საცემი
სულყველაფერს რო აძვირებს...
წავალ ბალახს ვაქმევე ვირებს
ფორთოხალო, და ნარინჯო,
ტურფა ქალო ნაზო დინჯო
ოთახებში გყავს ბაღლინჯო...
ჰა, გაჩერდი არ წაშქინჩო.
ჰერი, დეღო, დილი, დილო,
შენ სად მიხვალ დღეს, სად ილო,
სოქვი, სად უნდა ისადილო?
„სინათლეში?“* ტყავს რათ იხდი,
წითელ თუმანს გადაიხდი,
ვერ გაძღები იცი?—მიხვდი?!.
მადლობას თუ ვადამიხი,
შემიძლია დაგპატიყო, ჩემო გიყო.
ნიხრი მალე, ნიხრი, ნიხრი,
მშობი, ვკედები, თავს დაბლა ვხრი...
გააძვირეს ყველაფერი...
რალათ მინდა ეს წალღერი...
ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი...
(ველავ ბვერი მაქვს დასაწერი)

შექანჯალღებული.

*) „სინეთლე“—სასადაღოა წად-
კერში, სადაც სიძვირას გამო მაგანა-
კეთ თვალთ უხედავებთ.

სოხუმის ამაგი

მისხაბაძე მაგალითი

ვისაც რომ ქონდეს ემატოსო, ნათქვამია. სწორეთ ასეა აქაური ფედერალისტების საქმე. ამ დღეებში ერთმა მითმა ლიდერთაგანმა, ძუკუ ლოლოემ, — ცნობილია მომღერმალმა, ათი ათასი მანეთი მოიგო. არტში და ეს სულ რამოდენიმე საათის განმავლო ბაში. ათი პროც. ამ ფულიდან პარტიის განკარგულებაში ვასცა.

გასამართლება.

ამას წინათ აქ გასამართლეს „ლატის“ გვირები ოთარბეგი და ზეინაბი. სასამართლოს თავმჯდომარეობდა თავ. ნ. თავდგირიძე, მდივნობდა თავ. პ. გელოვანი, დამცველებათ გამოვიდნენ თავ. შ. დადიანი და თავ. მ. წულუკიძე. საქმის პროცესმა საერთოთ და კერძოთ დამცველების სიტყვამ მსმენელებში მოწონების ნიშნათ საერთო ზვრინვა გამოიწვია. ნაფიცმა მსაჯულებმა ზეინაბი და ოთარბეგი გაამართლეს ხმის უმრავლესობით. ბუთმა მსაჯულმა (ძლიერ) თავი აღიქორა. (რადგან ქინათ). გამოიკვა რომ დამნაშავე ყველაფერში ანანია გლახა ყოფილა.

ახალი პარტია.

სოხუმში არსდება სოციალისტ—თუთუნის მყიდველთა პარტია. დამფ. ძნებელ კრებაზე სასტუმრო სან—რემოს წინ გამოიკვა რომ მათი პროგრამმა ეროვნული და ავტონომიური კითხვების შესახებ ისეთივე იქნება, როგორც ფედერალისტების. კამათი გამოიწვია პარტიის სახელწოდებამ. ზოგიერთები ზედმეტათ სთვლიდნენ სიტყვა „სოციალისტის“ უალაგოთ ჩაჩხირებას, ხოლო უმრავლესობამ „სოციალისტის“ ჩამოშორება ვერ დინახა შესძლებლათ ტატკური მოსახრებით, არჩენების დასრულებამდე მაინც. 8 საათის სამუშაო დღის შესახებ სოციალისტ თუთუნისტთა პარტიამ დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში რომ დღეეად დღელ განსაკუთრებულ პირობებში, როცა დრო ფულია და ფული კი ჩენი სამშობლოს ბედნიერების ქვაკუთხედი, და რომ სამუშაო დროს ერთბაშათ 15 საათიდან 8 საათამდე შემცირება ძირს გამოითხარის ყოველგვარ წარმოებას, კერძოთ კი თუთუნისას, რაც გამოიწვევს თუთუნის ფსის ხელოვნურათ გადიდებას და ეს კი მიმიე

ტიერთათ დააწვება საერთოთ მშრომელთა მასის და კერძოთ კი თუთუნის მწვეულე მწვეულე კონურ ჯარს და პროლეტარიატს, ამისთვის აუცილებელ საქიროთ მიგვანია ყოველგვარი სამუშაოს განსაზღვრის წინააღაღდე ბრძოლა ვაწარმოეთ.

მნიშვნელოვანი მოვლენა.

ქალაქის თავი და თავმჯდომარე აღმსრულებელი კომიტეტისა თავ. ნ. თავდგირიძე განვიდა ორივე ნ. დემოკრატების და ს. ფედერალისტების პარტიიდან და თავი უპარტიოთ გამოაცხადა. ამ მნიშვნელოვანი ამბის გამო ვინახულე „ემშაკის მათრახის“ რედაქციის დავლეთ: თ, პატრეცემული თავადი, რომელმაც ჩვეულებრივ დარბაისლურათ და თავახიანათ მიმილა. ვერ დავფარავ პირადათ ჩემი განზახება იყო მესარგებლა თავადი ნიკოს უპარტიოობით და ჩვენკენ, ემშაკისკენ გადმომებირებია. მბრთალია ეს არ მოხერხდა, მარა თავადი ნიკოს განმარტებით მე მაინც დიდათ კმაყოფილი დავრჩი. „სახოვადო მოღვაწეობა და საპასუხისმგებელო საქმეების ხელმძღვანელობა მოითხოვს — ბძანა თავადმა — პარტიის გარეშე დგომის და განურჩევლათ ყველას ერთნაირათ სამსახურს. დღემდე როცა ქალაქის საქმეებს მხოლოდ ძლიერნი ამ ქვეყნისანი განაგებდნენ, მე მხოლოდ ორ პარტიას ვეკუთნონდი, დღეს შემდეგ კი თვითეულ მოქალაქეს შეუძლია მისი ინტერესების ერთეულ დამცველათ მთვლიდეს. ჩვენ შორის დარჩეს და ისე როგორც ლაპარაკში ევანწინე თავადი ნიკოს მეტი სიპატია ჩვენსკენ უნდა იყოს, თუმცა ძველი მისი პარტიული ამხანაგები ჯერ კიდევ თავის კაცათ სთვლიან. რაღა თქმა უნდა ასეთ პირობებში ქალაქის თაობა უზრუნველყოფილია თავად ნიკოსთვის მომავალში.

სტუმარი.

გეხვედრა

— უპ, დავილაღე!
ბევრი ვიწვალე,
მთელი სოფელი შემოვიარე,
ხალხს ვაფხიზლებდი,
ქვეას ვარიგებდი,
აუხსნენ მათი ტანჯვა სიმწარე!
ასეთ სიტყვებით

ტკბილი სიზმარი

„მიიღება ხელსაწყოები და
ლონგის ნაწილები“
(ხახალხო ფურცელი)




შეხედავ ცაზე მზეს „ორსულს“
კბილები დაუკრეჭია,
ძირს კი წვეს ჩვენი თედორე
(მეცნიერების ღეჭია)
და საოცნებო სიზრმეში
დასცურავს განალოლები,
(რამეთუ ნაწარმოებნი
იქვს ბლომათ ვასასალები.)

ხელდავს რომ ხალხი ქართველი
ოხრად აწყდება კარებსა,
ღიაცი ეცილებიან
პირველობაში კაცებსა,
იწერენ ათ-ათ, ოც-ოც ცალს
წიგნს თედოს დანაწერავსა...
და ხელდავს იგი სიზმარში
ჯიბეებს განაბერავსა.

— აღსდგა ქართველი მკითხველი,
(მან სიზრმათ დაილაღადა)
რომ დაეწაფოს დანაწერს
კალმითა ჩემით ლაღადა!
იკითხეთ ივერიელნო
თქვენ ჩემი დანაწერები...
(ამდროს მის ცხვირზე ბუქნავენ
ურცხვნი, არშიყნი მწვერები!)

— კი.



შალვა დადიანი.

ავტორი ცნობილი* პესისა „მღვიმეში“

* თუ რით ვრის ზეისა „ცნობილი“ ეს
ეშმაკის საიდუმლოებას შეადგენს.



სოც. დემოკრატიული კონფერენცია ეროვნული
გეგმიკოთაა



ამხანაგი თავმჯდომარე-სა*) ამხანაგი ნოე რამიშვილი. Товарищи! Я предлагаю переводчи-камъ: маршь по мѣстамъ! Далѣе я полагаю, что...


*) აგრეთვე ამხანაგი ამხანაგი ეშმაკისა.

1) ამხანაგი უცნობი, რომელიც დიდის გაკვირებით გადაეხატეთ, ვინაიდან შეგვიტყუო და ხელს გეშლიდა ამ კეთალი განზრახვის შესრულებაში.

2) ამხ. ბერნშტეინი.

3) ამხ. დათიკო ონიაშვილი.

4) ამხ. ყარაჯიანი.





(შეშუენით, ზმორებით)
 შეხვდა ერთ დილას არქიფო ზიპოს,
 განბერილებით
 (ტრამახით, ქებით)
 თავიც მოჰქონდა, ცოტა არ იყოს!
 —სოფლათ იყავი?
 ოპ, ვაპ, ნეტავი
 შენ, ჩემო ძამო და მეგობარო,
 ბედნიერი ხარ—
 მთებში დადიხარ
 იქ უნდა დასტკებ, იქ ინეტარო.
 მე აქ, ქალაქში
 მტყერში და ლაფში
 უნდა ვიწვავო და ოფლი ვღვარო,
 მუშათა ტანჯვა,
 იმათი ძრახვა
 სახესებით ვიგრძნო, გავიზიარო...
 მიუგო ზიპომ
 და, ისიც ვითომ
 „მოღვაწე დიდი“, ქვეყნისა მხსნელი,
 თავსა იქნევდა
 ადასტურებდა,
 რომ უკვდავ იყო მისი სახელი!..
 —დიხ, ვიყავი...
 სუფთა ნიაფი
 გრილი, საამო,სულის მხიბლავი,
 მთებში სისინებს,
 მე იქ მალხინებს
 ბუნება დიად-შესანიშნავი!..
 და, როს გლტებთან
 სოფლის მშრომლებთან
 ვღაკავრ კრებაში, მათ ვარამზე ვაქობ,
 სული მით სტკებთა
 გული ამღება
 რაღაც შეუტნობ აღტყინებას ვგრძნობ!..
 —კარგია, ძმობამ,
 თუ მოღვაწობამ
 იქ მოიტანა რამე ნაყოფი...
 შენმა დიდ-შრომამ
 თავის დადებამ
 მისცა გლტებმა ცოდნა საყოფი...
 —ნაყოფი დიდი,
 ვერც-კი დავთვლიდი
 იმდენი არის ჩვენი შრომისა,
 მაგრამ... ერთბაშით

(დასკლთა მსგავსად)
 არ ძალგვიძს გაწოთნა გულმეცხობითა,
 ჩვენ დადებითათ
 უფრო ბეჯითათ
 უნდა ვიღვაწოთ, ვიშრომოთ სოფლათ,
 თუმც ზოგ კრებებზე
 და მიტინგებზე
 ხალხი უარსა-გვეყოფს და... ვრჩებით
 ობლოთ!..
 აქ ოდნავ შედგენ
 მოსაუბრენა,
 ურთერთს შესტკერდენ
 გმირები ჩვენი—
 თვალებს ჩქარ-ჩქარა ახამხამებდენ,
 კვლავ სასაუბროთ ემზადებოდენ.
 —მაშ, იქაც წვდება
 დასკლთა მცნება
 სოფლის გლტებში ფესხა იკიდებს?!
 რა გმეწველება,
 თუ ეს მართლდება—
 როგორ გავავლოთ მუსრი ესდეკებს?!
 მთლად გაბატონდენ,
 ქვეყანას ფლობენ
 ყველგან ბევრია მათ მიმდიგრები.
 აღარ ხუმრობენ
 დღე-ღამ შრომობენ
 მრავლობს და მრავლობს ურიცხვ
 წვერება!..
 —რა გაეწყობა,
 როგორც ეტყობა
 დიდა ესდკთ გაფენა, ძალა,—
 ხალხი მიყვება
 მათ ეთანხმება,
 ჯერ კიდევ რწმენა არ შეიცვალა!..
 ჩვენ მიწას ვაძლევთ
 (გზლავ ვურციკებთ)
 გესურს, რომ მოიხსიოს მის საკუთრება,
 მაგრამ თემური
 (სოციალური)
 ცხოვრება გლტებმ ეხამუშება!..
 —როგორ, გოლები
 განაწამებთ
 ნუ თუ ვარყოფენ ჩვენსა რწმენასა?
 ნუ თუ არა სურთ
 იმათ —უბედულთ
 დაეპატრონონ მუქთათ მიწასა?!

რასა ფიქრობენ,
 რათ აყოვნებენ
 მიწების ეხლავ დატაცებასა?
 დასელნი თურმე
 მათ აფრთხილებენ
 და არ აძლევენ ამის ნებასა...
 —ღიახ, ისინი
 ვითა მომთმენნი
 „დისკიპლინისთვის“ უხმობენ გლეხებს,
 ძალას ვარყოფენ
 მათ ამ შვილებენ.
 არ მტაცებლობენ—
 დაპზირდენ სიტყვით რაღაც ნამტაცებს!..

სთქვა და სასწრაფოთ გამოეტხოვა
 თავის მეგობარს, ჩვენი არქაფო,
 ზიაროს სახეს კი დაეცყო გლოვა—
 ვალენჩებული კარგახანს იყო!..

ალბტურიონი.

დექემები

ქიათურა. შემთხვევით ამოაჩინეს ამხანაგებმა
 წველი ოთახი; აქ თურმე თავს იყრიდენ კარტის
 თამაშობის აკრძალვის შემდეგ ის პირები, რომელ-
 ნიც ვერ შერიგებთან მის მოსპობას ჩვეულებრივ
 სათამაშოებში. ეს ოთახი გამოდგა ბნ ბლის სახ-
 ლის სახურავში მალულათ შედგმული. ბორკლი
 ენები ამბობენ: „თვით პლატონს კარგადიდი შრო-
 მა მიუძღვის მის დაარსებაში“.

ფხიზელი.

დ. ბორჯომი. 18 ივნისს ბორჯომში იშვა
 ფედერალისტთა სარევილიუციო კომიტეტი,
 რომელშიაც შედის ორი ზუცესი, ორი მასწავლე-
 ბელი და სამი ვაჰირი. თავმჯდომარეთ არჩეულია
 გ. ვაშაქიძე, მდივნად გ. ვაშაქიძე, ხანაწარბათ გ.
 ვაშაქიძე. მორიგი პარტიული კრებები იმართება
 კვირაში შეიდეჯელ. მოხსენებას აკეთებს ბერძნულ
 ავტონომიაზე გ. ვაშაქიძე, ქართულ თვითმართვე-
 ლობაზე ზ. კიკნაძე, კონტრიბუციაზე მ. სალარიძე,
 კოალციურ სამინისტროზე მ. ქიმერიძე და აგრა-
 რულ საკითხზე დრო გამოშვებით ალ. მდვანი.
 პარტიის წევრთა მიღება შეეძლება ყველასი განურ-
 ჩევლათ წლოვანებისა, პროფესიისა, წოდებისა,
 სარწმუნოებისა და რწმენისა, გარდა ერთგებისა.

ნოდე.

ღაი ღირიჭე

თავისუფალ ჯოჯოხეთის, თავისუფალ
 მოქალაქე ბატ. ემპაკო.

გახოვთ ეს ჩემი თხოვნა უცვლელათ დააკმა-
 ყოფილოთ, გინდოდეთ, თუ არ გინდოდეთ..

მოგახსენებთ (ან რა გამოგებარებათ) ქ. თფი-
 ლისში არსდება ქართველ მწერალ-მთარგმნელ, ბე-
 ლატრისტ მოქალაქეთა კავშირი, რომლის წევრთა
 სია უკვე გამოცხადებულია გაზეთებში.

ჩემდა საუბედუროთ, როცა ჩემთან ერთად
 კლავი-კლავში გაყრილი გოლოგინის პროსპექტზე
 ჩემს ცუგრუმელა სატრფოს მივდედი, ერთმა თავ-
 ხედმა გაზეთის გამოცხადებას გაზეთი შიგელში მო-
 მჩენა (რომ მკონდოდა შიგ მწერალთა სია იყო
 დაბეჭდილი; რა ღმერთი გამოწყრებოდა, რომ
 ხელი მომეკიდა) ჩემ ცუგრუმელას იმიტომ ვუყ-
 ვარვარ, რომ მწერლის სახელს ეატარებდი..

— რა ექნა, — იტყოდა ხოლმე, — თუმცა ზოგი
 ერთსავით სიყვარულის ლექსებს ვერა სწერ, მაგრამ
 მისი მიყვარბარო, რადგან მწერალი ხარო.. და
 ამ სიტყვებთან ერთად მაგრა მომიკროდა ხოლმე
 მკერდზე რაც აბობბდა ჩემ გაყინულ გულს ოს-
 მალეთის ფრონტზედ.. მაგრამ აი დღეს უბედურო-
 ბა მეწვია.. გაზეთი რომ გადავშალევი, უკანა გვერ-
 დზედ ჩემმა ცუგრუმელამ თვალი შეასწრო ლექსის
 მგზავსათ ჩამოწერილ მწერალთა ვეარებს. მე თუმ-
 ცა მაშინვე მივხელი სათაურიდან რაც იყო ის და
 განვიზრახე მიჩქაღლე, ვინაიდან ვიცოდი, რომ იქ
 მხოლოდ პირველ ხარისხოვანი მწერლები იქნებო-
 დენ (ისეთებიც, რომელთაც განზრახავა აქეთ მწერ-
 ლობას მკვიდონ ხელი) და ჩემისთანა ძალათ მაც-
 ხონე მწერლებს ალაგი არ ექნებოდათ... მაგრამ
 ვერ მოვახერხებ..

— ეისი ლექსია? — მკითხა ჩემმა სატრფომ.

— ღი.. ლ.. ე.. ქ.. ს.. ი არ არი.. ს., — რო-

გორც იყო მომვიდლულე.

— მაშ რა არის?

— სი.. ა მწ.. ერ.. ლე.. ბის..

— შენცა ხარ?.. აბა მაჩვენევი, — და ამ სიტ-
 ყვებთან ერთად გაზეთი ჩამოხმოთა.. და დაუწყო
 ძენა ჩემი გვარის პირველ ასო.. „ს“, მაგრამ ვერ
 მიბოვა და მკაცრად შემეკითხა:

— რატომ არ სწერიხართ? — და მკლავში გაყ-

რილი ხელი გამომაკალა...

მე ვსლდომდი, ან კი რა უნდა მეთქვა... ვიდექი ისე, როგორც დგანან ხოლმე გახირა ცხოველი და ყურების მაგიერი თვალბეს? ვაბრტყუნებდი...

— რატომ არ სწერიხარ? — კვლავ შემიქითხა და შევატყე გული ამოუჯდა სატირლად, — რალა უნდა უთხრა ჩემს პადრუგებს? — მომატყუეთ განა? მეთქვა, რომ პირველი ხარისხოვანი არა ვარ მეთქი მცხვენოდა, არა და რა მექნა, ამ დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო სიის ბოლოში მოთავსებული „შენი შენამ“, სადაც სწერია: „სია სრული არ არის, ვთხოვთ მწერლებს თვითნებ ვინაობა გაცნობონ“ — მე სიხარულისაგან კინალამ გავგიჟდი და ამაყურად მიუთითე ჩემს სატრფოს... აი, უბრალო შემთხვევით გამოუტოვებიათ რადგან თვითონში არ ვცხოვრობდი... და აი ესლავე მივსწერილს მეთქი... ჩემი ცუგრუმეღა დამშვიდდა... მე გავიმარჯვე... მაშინვე ვიყიდე ღია წერილი და მივმართე სადაც წესი არს: „უმორჩილესად ვთხოვთ ჩამწეროთ მწერალთა სიაში, თუმცა არ ვარ პირველი ხარისხოვანი, მაგრამ იმ ზოგიერთს, რომელნიც იმ სიაში გყავთ ჩამოთვლილნი არც მე ჩამოუვარდები“. ფოჩის ყუთში ჩავადევი და ჩემა სატრფო დანაწმუნებული არ დანახობით (თუმცა შინაარსი წერილისა არ წავაკითხე) მომიტკმა და კვლავ გაუყარეთ ერთმანეთს ხელი...

ახლა მოგმართეთ თქვენ ჯოჯოხეთის მოქალაქე ბ. ეშმაკო, დადასტუროთ, რომ ოდესღაც თქვენს ჟურნალში ვთანამშრომლობდი (ძალიან ცოტას) და რომ მე მწერალი ვარ (თუ ცოტა ხოტბას შემასხავთ, ვეცდები პარტიულ ფორგარფის*) შოვნაში დახმარებას) ამით თქვენ საშუალებას მომიცემთ მწერალთა სიაში მოხვედრას და უმთავრესათ ჩემი სატრფოს დარწმუნებას, რომ მე მწერალი ვარ... თორემ ვაი თუ გამეტყეს... მაშინ სჯობს ჩემი დაფუქვა... თქვენ კი არა შეგემტკებათრა და ჯოჯოხეთის ერთი წევრიც დაგაკლდებათ...

თქვენი მარად მონა მორჩილი:

ბლუხი ვანო.

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია, რასაკვირველია არა რაიმე შირადი ანგარიშით, ამოწმებს, რომ „გლეხი ვანო“ მართლაც თანამშრომლობდა ჩვენს ჟურნალში. ეს იყო „კედე“, ჯერ კიდევ ამ დროს, როცა საქართველო ავტონომიურ ერთეულს არ წარმოადგენდა და როცა რუსეთი თვით-მეურნეობა სსრკ-ში იყო.

მას შემდეგ გლეხი ვანო სადაც დაეკარგა ჩვენს რედაქციას და თუ არა წსდებოთ, ზოგჯერ „საქართველოს“ ფურცლებზე ვხვდებით მას ნაწარმოებებს.

ასეა, თუ ისე მკლახი, გლეხი ვანო, დარსია შეტანილ იქნას აღნიშნულ სიაში, თუ რასაკვირველია წახდება არ შეუშლის სულს.

რედაქცია.

მოთქმა ქუთათელთა რედაქციას


ეს! რა რიგია, რა სინდისია! ღმერთო გამიწყერ თვალს მკარ ფისია...

განა არ სჯობდა ნიკოლოზ ჩვენთვის? არას გვიშლიდა, ვილოდით ჩვენთვის, არხინათა ბაღის კიდზე: ვეძებდით კეთილს დავებატენეთ დიადსა სადილს და ამ გვარ ცდაში ვიხრეკდით მშრალ კბილს

რალა ვქნათ ეხლა? კლდეს თვისი შეხლა ჩვენდა დავგრეხება: ახალ მთავრობა (ღმერთმა დაკრულოს დღეს ამგვარობა) არ გვაძლევს შევებას ბაღს არ გვაპარებს აღარ ვგრთავს ნებას.

ეს! რა რიგია, რა სინდისია! ფეხი ჩემია და არ სხვისია!

აბა რა უნდათ წყნულ საბჭოებს: საჭმე არა ვაქვთ წადით არ ღარჩეთ გადიკარქეთ. აბა, მინხარო რა სინდისია სადილს ვეძებდით: რა მაქნის ა აქა კონტროლი —



რა გზა წესია?!
 მუშათა საბჭო
 აღარ გვაყენებს:
 ბაღს ნუ დახვალთო,
 ვინ რას დაძებებს:
 მე ვარ და ჩემი
 საკუთარი გემლი
 თოქალთო.

* *
 ეს სჯობდა ისევ
 ნიკოლოზ ძველი,
 მთავრობა ქველი,
 უხვ მასპინძელი
 მოყვარე ჩვენი
 მპატიებელი
 ჩემი მშვეველი.
 ფეხზე გვეკოლა
 მაშინ მთაველი.

* *
 აბა რა უნდათ
 საბჭოებს ჩვეთან?
 რა სინდისია
 ბაღის კიდზე
 თუ დავლივართ
 ფეხნი ჩვენია
 და არ სხვისია.

სუსლიკი.

ალექსანდრა. თუ არ გამოივლინა... არც
 იმისთვის შევიწუხებ თავს (პაუზა)
 გიორგი. (ფანჯარაში იცქირება): ეს რა ჭრე-
 ლია ცხოვრება, ზაფხული, მზე, სითბო, მშვენიე,
 აგარაკი, სიხარული... მერე უცებ შემოდგომა-ზამ-
 თარი, ყინვა, ქარი, სიყვითლე, ჭკნობა და მოწყე-
 ნილობა.

ალექსანდრა. მაქ რაღათ გაჩერდი? გაზაფხული
 არ ვიწერია სიაში?

გიორგი. როგორ არა. და სწორედ მიტომ
 არის ცხოვრება ჭრელი, რომ ყველაფერა, რასაც
 მზე ასე თუ ისე გავლენა აქვს, დაუბოლოებელ
 ცვალებადობას წარმოადგენს.

ალექსანდრა. მერე რა გინდა მაგით რომ სთქვა?
 გიორგი. არაფერი. ისე რაღაც... მეც არ ვი-
 ცი—რისთვის ვსთქვი.

ალექსანდრა. ფილოსოფოსობას თავი დაანებე,
 ჩემო ძვირფასო, მაგნაირ კითხვებს თუ გაეკიდე,
 ვინ იცის სანამდე მიგიყვანს...

გიორგი. საფლავს იქით გზა აღარ მიდის.
 ალექსანდრა. რას ამბობ, გიორგი, ხომ იცი,
 რომ მე შეშინია მაგ სიტყვის?

გიორგი. დასწყევლოს ღმერთმა! ე რა სისუ-
 ლელეს ვროზე? ფუი ეშმაკს (გვერდზე გააფურთხებს).

1

(შემოდის ნიკა).

გიორგი. }
 ალექსანდრა. } ოოო. ნიკო, ნიკო (მიეგებებიან)

ნიკა. მოხარული ვარ, რომ მშვიდობით დაბ-
 რუნებულს გხედავთ. (ერთმანეთს მიესალმებიან,
 როგორც რივი და წესია).

გიორგი. აბა, სტოლისკენ (სხდებიან. ალექსა-
 ნდრა მესამე კიბაში ჩაის დაასხამს და ნიკოს და-
 უღამს).

ნიკა. სხვა, როგორი დროება ვაატარეთ?
 გიორგი. არა უშავს. ცოტათი წვიმებმა შეგვა-
 წუხა ამ ბოლო დროს, თორემ სხვაფრივ ყველა-
 ფერი კარგი იყო. შენ რაღას შვრებოდი აქ?

ნიკა. ველაპავი მტვერსა და...

გიორგი. უნდა წამოსულიყავ.

ნიკა. ვანა არ მინდოდა? მაგრამ,—ხომ იცი,
 საზოგადო საქმეს რამ ხელს მოაკიდებ. მერე შენს
 თავს აღარ გეუფენი.

ალექსანდრა. თუ მოაგვარეთ მინც რამე?

დაიჯერა

(დასასრული)

ი ბ ი ვ ა ო თ ა ხ ი

1

ალექსანდრა და გიორგი

(ალექსანდრა ხანია, ალექსანდრა და გიორგი დაიფანჯარას-
 თან სხედან და ჩაის სვამენ).

გიორგი. ნიკომ ღღეს აღარ გვინახულა.

ალექსანდრა. ამ საღამოს ჩაიარა ჩვენი სახლის წინ.

გიორგი. ბაზრისკენ?

ალექსანდრა. ჰო, აქეთ ბევრი იცქირა, მარა მე
 არ დავენახვე; არ მინდოდა ჩამოსულიყო,—სახლი
 დაულაგებელი მქონდა. რაც უნდა იყოს მინც გა-
 რემე ჰქვია.

გიორგი. ბაზრისკენ თუ წავიდა, უსათუოდ გი-
 მოივლის.

ნავა. როგორ არა. ყველაფერი მზათ არის, საცაა წარმოდგენების მართებასაც დივიწყებთ.

3

(მოულოდნელათ შემოაღეს ბესო და კარებთან გაჩქარდა. მასი გამოჩნდა და გაკვირვებას და უკმაყოფილებას იწყებს)
ბესო. საღამო შვეიღობისა, ბატონებო!

გიორგი. (წამოდგება) მე გგონია...

ბესო. (გააწყვეტინებს) მოითმინე, ჩემო გიორგი, უსაქმოთ არ მოესულვარ (ნიკო წამოდგება და ქუდს აიღებს) შენ, გგონია, წასასვლელათ ემზადები, ნიკო? არ შეიძლება ცოტა ხანს მოთმინო? ერთი (წინ წამოიწევა) ბატარა ზღაპარი მაქვს სათქმელი და მინდა შენც მომისმინო.

გიორგი. გიგია სწორეთ.

ბესო. თუ გინდ მასე იყოს... რამოდენიმე წუთი, ვახოეთ. შესწირათ გიგის ოინზაზობას.

ალექსანდა. (ბრაზბორებული კამოიკრება და მაგიღაზე ხელს დაარტყამს) გიორგი! შე არ შემიძლია მეტის მოთმინა!

ბესო. (გიორგის): შევედივარ ალექსანდრას მდგომარეობაში; იმას მართლა უძძის ჩემი აქ ყოფნა, მაგრამ რა გაეწყობა!.. შენთან ყოფნას თუ მთელი წლობით უძღვებს...

გიორგი. (გააწყვეტინებს): ბესო!!!

ბესო. გარწმუნებ, რომ ჩემზე მეტათ არც შენ უყვარხარ!

ნავა. (ალექსანდრასა და გიორგის): უკაცრავათ... მე... ნახვამდის (კარებისკენ მიდის).

ბესო. ჩემმა თხოვნამ არ გასკრა? მაშ აი (რევოლვერს მიუშვერს) არ გაქენო!

ნავა. (შუღდება) კაცო, ხომ არ შეშლილხარ?

ბესო. ჩემი საუბრის უმთავრესი ფიგურა შენა ხარ და უნდა მომისმინო ფეხი არ გადავა. დღეს ყველაფერი უნდა გამოაშკარავდეს! დღეს უნდა გავიგოს გიორგი, თუ ვინცაბარ შენ და რაც არის მისი ძვირფასი მუღული! იმედი მაქვს, რომ დღეის შემდეგ ჩემს ნაცვლად შენ დაიჭერ ბრალდებულის საკმს...

გიორგი. ღმერთო, ეგ რა მესმის!!!

ბესო. ის, რაც დიღიხანია უნდა გცოდნოდა.

ნავა. ასეთ კლიოსწამებისათვის, ცოდე, პასუხს მოგთხოვს სულ ეს რევოლვერი...

ბესო. როცა და როგორც გნებავს, ეხლა კი ცოტა კიდევ დამაცადე... (გიორგის) მპატიე, გი-

ორგი, ეს მოულოდნელი მახარობლობაა, მაგრამ ერთ დროს შენც ასე უღმობილოდ შეიქცევი, შენ კიდევ უფრო ცუდათ გაისაჯგი, ვინაიდან კორი მისამღიღეთ მიიღო და საშინელი ცილი დამწამე. ჩემი საქციელი იმით მინც მართლდება, რომ მე სრულ სიმართლეს ვამბობ.

გიორგი. ახს ცრუობ, ცრუობ!..

ნავა. მეტის მეტია!..

გიორგი. სიცრუეა, სიცრუეა!..

ბესო. ვიი რომ არ არის სიცრუე! სრული სიმართლეა მაგრამ კოლის სიყვარული იმდენათ გზარბავებს, რომ დალატეს ვერ ამჩნევ; ის კი დიღიხანია არსებობს. მე, როგორც ვარემე პირი, იმ თავეთვე ძხედავი მას და ყოველთვის იმის ცდაში ვიყავი, რომ რითიმე შენთვის მეშველა. საქმის გზმპურებას ვუფრთხილდი. ჯერ ყველაფერი ნათლათ მინდოდა გამომერკვია, რასაც ალღოთი ვგრძნობდი, — თვალთ მენახა და შემდეგ ზომები მიმეღო, მაგრამ არ დამცალდა... იმ დღეს რომ კარი შემოშოვადე, თვლი შევაწარ მათ ხვეენა-კაცნას. იმთ ეგონათ, რომ მე მათი მოქმედება შეუზნვეელი დარჩა; სახლში შემოსვლის უშაღვე; ვითომც აა არაფერიო, შენი ამბავი მკითხეს. მეც ავღეკი და ვიცრუე, — არც ტყულათ. სწორეთ ამ მოტყუებამ საბოლოათ დამარწმუნა იმაში, რომ შენს კოლის შენი სიცოცხლე არაფერი უღირს, მართლა რომ მოტაცებული ყოვილიყავ, ორი ათას მანეთში გვციღდა—და ეს იმ დროს, როცა ამ ფულის შოენა მისთვის არაფითარ სიმნელეს არ წარმოადგენდა. კითხვა ასე იღვა; ან მთავრობისთვის მიმართვა და შენი ადვილათ შესაძღებელი სიყვილილი, ან ორი ათასი მანეთის გაღება და აუციღებელი დახსნა. შენმა მუღულემ პირველი არჩია; ნიკომაც თავზაზიანათ იკისრა წასვლა ვისთანაც ჯერ არს და ვინ იცის რა ამბავს დააწევედა, გზაში რომ არ შევედროლო... შემდეგ შენც იცი რაც მოხდა!

გიორგი. (დიღ-ხანს მწარეთ ჩაფიქრებული): ახს არა!.. ვამეცალე, ვამეცალე!.. ჩემო ალექსანდრას!..

ბესო. ღმერთმა მისი თავე ნუ მოგიშლოს! რაც შეეება დაჯერებას, მეც ამის მეშინოდა და ამიტომ იყო, რომ ამდენხანს მტყუანის სახელი ვატრე. ეხლა რომ დაიჯერებ, ამაში ექვი აღარ არის... აი საამისო საბუთი (წერილს გადასცემს) შენი ერ-

ინტერვიუ

თული ცოლის ხელს იცნობ, მგონი; აგარაკიდან მოწერილია. ნიკოს ნაცვლათ შემთხვევით მე ჩამივარდა ხელში. წაიკითხე და ყველაფერს გეტყვის... (ნიკოს) მე ყოველთვის შხათ ვარ (მსწრაფლ ვადის)

4

გიორგი. (ბრახ მოარეული): რით შეგიძლიათ გაიმართლოთ თავი?!

ალექსანდრა. (ეშაკური ლიმილით) სულელი!.. რა ბრალდებაა წამოყენებული, რომ თავის მართლბა იყოს საჭირო?

გიორგი. ეს წერილი?!

ალექსანდრა. უმინშენლო რამ არის!

გიორგი. ეს ხომ შენი ნაწერი?!

ალექსანდრა. რატომ გგონია, რომ ჩემი და არა სხვისი?

გიორგი. განა ვერ ვატყობ? სწორეთ შენი ნაწერი!

ალექსანდრა ესე იგი ჰვავს ჩემს ნაწერს... რას მიტყერ; ხომ ჰვავს?

გიორგი. რა გინდა მაგით რომ სტკვა?

ალექსანდრა. ისა, რომ შენ დიდი სულელი ხარ! ჩემო სულელო, ჩემო კარგო სულელო, რათ ხარ ასე უტკუო? (ალერსით მიუახლოვდება და მხარზე ხელს დაადებს). ამა შეხედე იმ სურათს (მოუთითებს). ის ხომ ჩემი სურათია,—მხატვრის მიერ ხელით დახატული? ხომ მვავს მე? სტკე - ხომ მვავს?

გიორგი. მერე?!

ალექსანდრა. ეხლა მითხარი: მე და ის სურათი ერთი ვართ? მითხარი, ჩქარა მითხარი!

გიორგი. აქ საქმე წერილზეა...

ალექსანდრა. დიახ, წერილზეა. ეს წერილი ჰვავს ჩემს ნაწერს, მაგრამ არის კი ჩემი ნაწერი? ნუ თუ უბრალო მგზავსება სკრის კითხვას შენ ხომ იცი, რომ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ პირის ნაწერს სსწორით იღებენ,—ეს არც გასაკვირია: მხატვარი ხომ ადამიანის სახესაც იღებს ყოველი მოხაზულებით... სახის გადაღება თუ შეიძლება, რატომღაც ნაწერის მიმსგავსება არ შეიძლება? მე შენ გეტყვი —ბესო უსინდესობას დაერიდებოდა მე და შენს შორის ორმოს აშოსათხრელათ... ჩემი რამდენიმე წერილიც ხომ ხელთ აქვს იმ უსინდესოს... (გული აუჩვილდება).

ადამიანი ასე დაეცეს?!
ალექსანდრა. შენ ეგვიც კარგად იცი ასე აფანებ ჩემს ერთგულებას (მიდის და სკამზე ჯდება)... უჯერი ვიღაც უსინდესის (ტრილის იწყებს)... უნამუსოს... რა უბედური ვარ, რა უბედური (ტრილის თან და თან უმატებს)!..

გიორგი ალექსანდრა, კარგი...

საკო. გიორგი, ოროლო სიტყვა მეც მომიძინე! ბესოსავან ყველაფერს მოველოდი... ალექსანდრაზე გაბოროტებულმა რომ იარალათ მეც გამომიყენა, ეს არ მიკვირს, მაგრამ ქვეყნის დატყვევს უფრო ადრე შევეუბრავდებოდი, ვიდრე იმ ახრს, რომ მე შენს თვალში სევეო პირი გავხდებოდი. ისიც,—დმერთო, შენ დაგელოცოს სამართალი,—ასეთ საქმეში წენს ოჯახთან განა ჩემი დამოკიდებულება საამისო საბუთს იძლეოდა? ეს! გიორგი, გიორგი! გრძნობ-კი რა სილა ვამაწანი?

გიორგი. მამატე, ნიკო, უზომოთ ვაგებორცტი... მეც ადამიანი ვარ...

საკო. განა პასუხს ვთხოვ? მე მხოლოდ ხაზი გაუსვი არა სასიამოვნო მოკვდენას...

გიორგი. რაც არასოდეს აღარ განვიორდებამიკო. იმედი ჰქვს, ეხლა კი ნახვამდ-ს... მამატე, ალექსანდრა... იცოდე, რომ ის არამზადა შესაფერ ჯილდოს მიიღებს (გადის).

5

გიორგი. ალექსანდრა...
ალექსანდრა (თავდაბრილი ნელა ტრის).

გიორგი. (მიუახლოვდება): ჩემო...

ალექსანდრა. გაიწი იქით!

გიორგი. როგორ კეკადრება, ჩემო ანგელოზო, გაბოროტებულმა კაცმა რალაც წამოვიყრან ტალი...

ალექსანდრა. ეჭვი ჰქმს ერთგულებაში... ასე...

გიორგი. კარგი... დამსჯე, ოლონდ კარგი, ნუ... ჩემო ციციკია (ეფერება, ეალერსება) ჩემო სიციცხლვე, ნუ შემბრალებ...

ალექსანდრა. "ნუ შემბრალებ"!

გიორგი. დიახ, მე ამ წუთში ისეთი ბედნიერი ვარ, ისეთი, რომ რაც მიძინ სასჯელი გადამიწყვეტო, სიხარულით ავიტან. თუ გინდ ხუთასჯერ კოცნა იყოს. ეშამკა წამილოს, თუ ერთი დავაკო! თანამა ვარ?... (ალექსანდრას პირი შეუღიმდება). მაშ ასე! (მოეხვევა; ალექსანდრა მორჩილებით ყელს მოიღერებს, გიორგი მას მხურვალე კოცნას დაუწყებს. ამ დროს კარებში ბესო გამოჩნდება; ის პირველათ განცვიფრდება, შემდეგ მიხვდება, რაშიც არის საქმე, მხრებს აიწვეს და ნელა გაბრუნდება).

(ფ ა რ დ ა).

ფოსტა

გ. მალაფერძებს. რედაქციის არა აქვს უფლება ნება დაეროთ „სიკიოში“ დასდგათ. მიმართეთ სცენის ავტორს ან. გოგიას დ. კიათურაში. (Четыре г. Нунубидзе. გადაეცით გოგიას)

ლ—ი. ახანავო ლ—ი!
 თქვენი წერილი
 საშინლათ სუსტობს,
 კალათში უჯობს.

ლ: მისგორელს. თუ ვერ შეძენით რიდი და ხათრი გთხოვთ შეიძინოთ ერთი მახათი.

ჯ. გელ—ვილს. თქვენი სცენა „სავაჭრო სახლი „რომანოვი და ამა.“ ერთობ მოძველებული საქონლით ვაჭრობს.

ხუსლიკს. შ. ქმის დღიური არ დაიბეჭდებო.

მეფისტოფელს. რედაქცია გთხოვთ შეიაროთ წიაღსა შინა მისსა. ელისაბედის ქუჩა № 132.

ს. ღ. კონფერენცია



წინა რიგი პარტერისა ნაციონალური კითხვის განხილვის დროს.